ეთნომენეჯმენტი, როგორც თანამედროვე მენეჯმენტის მნიშვნელოვანი მიმართულება

ირმა ბარათაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ევგენი ბარათაშვილი
სტუ-ს პროფესორი

ვახტანგ დათაშვილი
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

თვალსაჩინო გერმანელი მეცნიერის მ.ვებერის სწავლებაში: ეთნოსის არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი-იდეოლოგია (მაქს ვებერის შრომებში, პირველ რიგში, საუბარია პროტესტანტულ ეთიკაზე) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკის განვითარებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების ხარისხს. როგორც მრავალრიცხოვანი კვლევები გვიჩვენებს, ჭეშმარიტება სადღაც შუაში იმყოფება. კერძოდ, ამას ადასტურებს ე.წ. ტრადიციული, აღმოსავლური საზოგადოებების ანალიზი, სადაც მასში მაცხოვრებელი ხალხების ფსიქოლოგია, როგორც ცნობილია, უკიდურესი კონსერვატიზმით გამოირჩევა, რის გამოც ინოვაციები იქ ძალიან რთულად აღიქმება. სხვათა შორის, თვით ორთოდოქსალურ მარქსიზმშიც კი შეიძლება გამოვყოთ თითქოსდა განცალკევებით მდგომი კონცეფცია წარმოების აზიური მეთოდის შესახებ, სადაც მარქსიზმის ამ ფორმისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური დეტერმინიზმის მიუხედავად, საწარმოო ურთიერთობების განვითარების ხარისხსა და დონეზე გავლენის მოხდენის პროცესში ფაქტობრივად ხდება აზიური ტრადიციისა და აღმოსავლური ფსიქოლოგიის განმსაზღვრელი როლის კონსტატაცია, ამგვარად, ჩვენი აზრით, ჯაჭვში "საწარმოო ძალები-საწარმოო ურთიერთობები-ეთნოსი", უფრო მიზანშეწონილია არა პირველმიზეზის ძებნა, არამედ ამ ჯაჭვის შემადგენლების ურთიერთქმედებისა და ურთიერთგავლენის შესწავლა.

კერძოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის ურთიერთზეგავლენის შესწავლას. ჯერ კიდევ ჯ.მ.ქეინზი აღნიშნავდა, რომ ეროვნული ფსიქოლოგიის თავისებურებანი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქცევაზე ეკონომიკის სფეროში. მის ძირითად ნაშრომში "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია " ის წერდა, რომ, მაგალითად, ინგლისელები ინვესტიციებს ძირითადად მოსალოდნელი მოგების მოლოდინში ახორციელებენ, მაშინ როდესაც ამერიკელები - კაპიტალის ინვესტირებისას, ძირითადად, მისი ღირებულების ზრდას შესაძლებლობას ითვალისწინებენ (ანუ ამერიკელები სპეკულაციისადმი გაზრდილ ინტერესს ამჟღავნებენ და ნაკლებად იტკივებენ თავს მოსალოდნელი ფაქტობრივი შემოსავლის პროგნოზებით).

მრავალი მკვლევარი გამოყოფს აგრეთვე სხვა ეთნოსებისთვის დამახასიათებელ ეროვნული ფსიქოლოგიის სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ეკონომიკის მდგომარეობაზე. მაგალითად, ისეთებს, როგორებიცაა, რუსებისთვის - თემურობა, სახელმწიფოებრიობა, პატერნალიზმი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ უკანასკნელ დროს რუსეთში მიმდინარე საბაზრო რეფორმების ინერციულ შემადგენელს. თავის მხრივ, გერმანელები ბეჭდური მასალის შესყიდვისას ძალიან მომთხოვნები არიან მის ხარისხთან მიმართებაში, ამიტომ ტიპოგრაფიები იქ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ტექნიკას იყენებენ. იაპონელების ისტორიული და ეროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებების ეკონომიკაში ასახვის ერთერთ ფორმას (რაც დიდწილად განსაზღვრულია კონფუციური სწავლებით როგორც მათი ცხოვრების სტილის იდეოლოგიური საფუძვლით) წარმოადგენს სამისდღეშიო დაქირავება და მუშათა გათავისუფლების შეზღუდვა, რის გამოც იაპონური ფირმები დიდი სიფრთხილით უდგებიან ახალი

კადრების აყვანას და აქტიურად ახორციელებენ წარმოების ავტომატიზაციას. ტრადიციებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის კორელაცია და მათი ზეგავლენა სოციო-ეკონომიკურ სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობაზე კიდევ მრავალი მაგალითით დასტურდება.

ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის ინტეგრაციის აუცილებლობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ უკვე რამდენიმე ათწლეულია ნაყოფიერად ვითარდება ისეთი სამეცნიერო მიმართულება, როგორიცაა ეკონომიკური ფსიქოლოგია. ამავდროულად ეთნოსის ფუნქციონირებისა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების კავშირის შესწავლის აუცილებლობასთან ერთად საკმარისი აღარაა მხოლოდ ეკონომიკური ფსიქოლოგიის ფარგლებში დარჩენა, ვინაიდან ეროვნული ფსიქოლოგია მხოლოდ ერთი მხარეა ეთნოსთა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასევე ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, იდეოლოგიით, კულტურით და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ეთნოსი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ეროვნული ფსიქოლოგია, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, ეკონომიკურ ფსიქოლოგიასთან ერთად ისეთი სამეცნიერო მიმართულების განვითარება როგორიცაა ეთნოეკონომიკა, რომლის ფარგლებშიც გადაიჭრება ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: ეთნიკური და ეკონომიკური პროცესებისა და ურთიერთობების ურთიერთკავშირისა და ეკონომიკური ქცევის ეთნიკური თავისებურებების, მათ შორის სხვადასხვა ერისა თუ ხალხის საბაზრო ადაპტაციის სპეციფიკის გამოვლენა. სხვაგვარად რომ ვთვათ, ეთნოეკონომიკა არის მეცნიერება ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის შესახებ, რომელსაც სხვადასხვა ეთნოსის ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, კულტურა, ფსიქოლოგია, იდეოლოგია, რელიგიური შეხედულებები ა.შ. ახდენენ საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების ხასიათსა და ხარისხზე. როგორც ვხედავთ, ორთოდოქსულ მარქსიზმთან შედარებით, აქ თავიდანვე უარყოფილია ეკონომიკური პროცესების საყოველთაობა და პირველადობა ეთნიკურთან მიმართებაში. როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია უამრავი მაგალითის მოყვანა, როდესაც პირველმიზეზის როლში არა ეკონომიური მოვლენები, არამედ ეთნოსის თავისებურებები წარმოგვიდგება. უკანასკნელ დროს, თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა ელემენტის, მხარისა თუ ასპექტის ფუნქციონირებაზე ეთნიკური პროცესების გავლენის როლის ზრდის გათვალისწინებით, გასაკვირი არაა ისეთი ახალი სამეცნიერო დისციპლინების განვითარება, როგორიცაა ეთნოფსიქოლოგია და რიგი სხვა მომიჯნავე მეცნიერება. ეთნოეკონომიკა ასევე შეიძლება განისაზღვროს, როგორც მეცნიერება სხვადასხვა ეთნოსის სოციო-ეკონომიკური ქცევის შესახებ, რაც აგრეთვე არ ეწინააღმდეგება ამ მეცნიერებისთვის ჩვენ მიერ ზევით მიცემულ განსაზღვრებას.

სპეციალურ ლიტერატურაში გხვდება ეთნოეკონომიკის , როგორც ახალი სამეცნიერო მიმართულების, არსის განსაზღვრის განსხვავებული ვარიანტებიც. უმეტესწილად ეს მიდგომები უკავშირდება ეთნოეკონომიკის, განსაკუთრებით კი ოდესღაც აყვავებულ და მერე XX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასახვა მიზეზით დაკარგულ ხალხური რეწვის, როგორც ეროვნული წარმოებების განვითარების შესახებ მეცნიერების, გაგებას. ამასთანავე, ეთნოეკონომიკის გაგების ასეთ ვარიანტს ხშირად უკავშირებენ სოფლის მეურნეობის ან ტიტულური ერებისა და ხალხების შემდგომ განვითარებას, რესპუბლიკებში, რომლებიც რუსეთში ამჟამად 22-ია (პრაქტიკულად რფ-ს სუბიექტების მეოთხედი), და აგრეთვე ეროვნულ ოლქებში (ცხადია, რომ ეს ორივე მიმართულება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან). ეთნოეკონომიკის გაგებასთან დაკავშირებულ მოცემულ მიდგომებს უდავოდ გააჩნიათ არსებობის უფლება, თუმც ჩვენი აზრით, ისინი არ ეწინააღმდეგებიან ჩვენ მიერ შემოთავაზებულ, უფრო ზოგადი ხასიათის მქონე მიდგომას (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მიდგომები არსობრივად ამ მეცნიერების ჩვენეული განსაზღვრების კერძო მაგალითებს წარმოადგენენ). მეტიც, ხალხური რეწვის აღორძინებას საქართველოში.

მიზანშეწონილია, აგრეთვე წარმოების მოცულობის ზრდა ისეთ ტრადიციულ რეწვის სახალხო სფეროებში, როგორებიცაა მეფუტკრეობა, სატყეო რეწვა, ტყავის დამუშავება, სხვადასხვა ქსოვილისა და ძაფის ღებვა ა.შ. ჩვენთან შესაძლებელია სახალხო რეწვის ძველი, მივიწყებული სახეობების აღორძინება, რომელ-

თაც ხშირად ეთნოეკონომიკად მოიხსენიებენ.

უკანასკნელ პერიოდში, მენეჯმენტის თეორიაში ინტენსიურად შეისწავლება მენეჯმენტის ეთნიკური, ეროვნული მოდელები. ეს პროცესი ხორციელდება „ეთნოეკონომიკად“ წოდებულ, ასევე ინტენსიურად განვითარებად ახალ სამეცნიერო მიმართულების პირობებში. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მართვის სისტემა მთლიანად ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, ჩვენი აზრით, მენეჯმენტის სხვადასხვა განსხვავებული, ეროვნული მოდელების შესწავლის პროცესს, მიზანშეწონილია „ეთნომენეჯმენტი“ ვუწოდოთ.

მენეჯმენტის ეთნოეროვნული მოდელებისადმი სერიოზული ინტერესის გაღვივება XX საუკუნის 80-იან წლებში მოხდა , როდესაც იაპონიის ეკონომიკამ გადაასწრო საბჭოთა კავშირისას და მსოფლიოში მეორე საწარმოოდ განვითარებული ეკონომიკა გახდა, აშშ-ს შემდეგ. იაპონიის ეკონომიკის ომისშმდგომი განვითარება ისეთი თვალშისაცემი იყო, რომ მას „იაპონური სასწაული“ უწოდეს. ზრდის ტემპით მაშინ იაპონიის ეკონომიკა საგრძნობლად უსწრებდა ამერიკისას. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტები: თუ 1950 წელს იაპონიის მთლიანი შიდა პროდუქტი 30-ჯერ ნაკლები იყო ამერიკისაზე, 1985-სთვის ჩამორჩენა 2-მდე შემცირდა. იაპონიის ეკონომიკის გასაოცარმა განვითარებამ ომისშემდგომ პერიოდში იაპონური მენეჯმენტისადმი უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია, რომლის თავისებურებებშიც, სპეციალისტები სავსებით სამართლიანად ხედავდნენ იაპონური მენეჯმენტის წარმატების მთავარ მიზეზებს. შედეგად, 80-იანი წლების ბოლოს სპეციალისტების უმრავლესობა მივიდა დასკვნამდე, რომ იმ დროისათვის მენეჯმენტის იაპონური მოდელი, როგორც მინიმუმ, ამერიკულზე არანაკლები იყო, თუ უკეთესი არა. დიდწილად ამას ხელი შეუწყო იაპონური წარმოშობის ამერიკელი მეცნიერის პ.ოუჩის იაპონური მენეჯმენტის მოდელის თავისებურებისადმი მიძღვნილმა სამეცნიერო კვლევებმა. მენეჯმენტის ნებისმიერი ეთნო-ეროვნული მოდელი ყალიბდება კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური, სოციო-ეკონომიკური, გეოგრაფიული ფაქტორების გავლენით.

მენეჯმენტის მოდელის ქვეშ ხშირად ესმით ორგანიზაციის მართვის სისტემის საფუძველში ჩადებული იდეებისა და მიდგომების ერთობლიობა. ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა იაპონური მოდელის ჩამოყალიბებაზე, გახლავთ რელიგიური ფაქტორი, კერძოდ კი კონფუციანიზმისა და ბუდიზმის გავლენა იაპონელების სოციალურ კულტურასა და ფსიქოლოგიაზე. აქ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული ფაქტორი უმთავრესია არა მარტო იაპონური, არამედ მთლიანად მენეჯმენტის აზიური მოდელისათვის. (რიგი აზიური ქვეყნის მართვის სისტემებში, კორეაში, ტაივანში, გარკვეულწილად ჩინეთშიც კი უამრავი მსგავსებაა). მენეჯმენტის იაპონური (აზიური) მოდელის მთავარ განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს კოლექტივიზმი, ამერიკული მართვის სისტემის საფუძველში ჩადებული ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ.

პერსონალის მართვის იაპონური ფილოსოფია ეფუძნება კოლექტივიზმის, საერთო თანხმობის, თავაზიანობის, პატერნალიზმის, აგრეთვე უფროსის პატივისცემის პრინციპებს. ომისშემდგომი იაპონიის წარმატების ძირითად მიზეზებს ხედავენ მის მიერ გამოყენებულ ადამიანის ფაქტორზე ორიენტირებულ მენეჯმენტის მოდელში, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის ეთიკასა და სადაც, პირველ რიგში, გათვალისწინებულია არა ცალკეული მუშაკის, არამედ მთელი ჯგუფების, მთლიანად კოლექტივის ინტერესები. ამიტომ პირველ პლანზე დგას ადამიანის პატივისცემა გარშემომყოფთა მიერ; კოლექტივში ყოველი თანამშრომლის ადგილისა და როლის განსაზღვრა, აგრეთვე სოციალური ფაქტორების პრიორიტეტული გათვალისწინება, როდესაც შრომისათვის ჯილდო სოციალური საჭიროებების პრიზმაში აღიქმება.

ამრიგად, აზიური მენეჯმენტის საფუძველში ჩადებულია წარმოების ორგანიზების ფორმალური ფაქტორების არაფორმალურთან შერწყმის მეთოდის გამოყენების საფუძველზე მეგობრული და ეფექტურად მომუშავე კოლექტივების შექმნა. შედეგად, იაპონიაშიც და სამხრეთ კორეაშიც ფირმები თავიანთ თამამშრომლებს არა მხოლოდ შემოსავალს, არამედ თვითრეალიზაციისა და თვითგანვითარების შესაძლებლობასაც აძლევენ. კერძოდ, ეს ვლინ-

დება ე.წ. „ხარისხისის წრეების“ ფუნქციონიებაში, რომელშიც შედიან მუშები, მენეჯერები და კომპანიის ხელმძღვანელები (იაპონიაში „ხარისხის წრეები“ მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან მოქმედენ. მათი ფუნქციონირების შედეგს წარმოადგენს ქვეყნის საწარმოებში მრავალი ტექნოლოგიური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ინოვაციის დანერგვა), შრომაში წარმატებისთვის აუცილებელ დაჯილდოებაში, შესვენებების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანაში და მიწოდების ვადების დროულ და ზუსტ პრაქტიკაში, რაც უზარმაზარი სასაწყობო სათავსებზე გაწეულ დამატებით ხარჯების თავიდან აცილების, ფირმის პერსონალის დისციპლინის ამაღლებისა და ეფექტური ლოგისტიკური ცვლილებების განხორციელების საშუალებას იძლევა.

აზიური მოდელის გამოყენების ერთერთ უმნიშვნელოვანეს დადებით მხარეს წარმოადგენს მართვის სტრუქტურისადმი მოქნილი მიდგომა, აგრეთვე კონტროლის არაფორმალური პროცედურების გამოყენება, მათ შორის, ჯგუფური კონტროლისა. ამან გამოიწვია ის, რომ მეოცე საუკუნის 80-იანი წლებში ფირმა „ტოიოტაში“ პირველად ისტორიაში იქნა გამოყენებული მატრიცული საორგანიზაციო-მმართველობითი სტრუქტურა. ეს ფაქტი იქცა მსოფლიოში ახალი ტიპის საორგანიზაციო-მმართველობითი სტრუქტურების გავრცელების ამოსავალ წერტილად, ორგანულისა- ნაცვლად მექანიკურისა. იაპონურ გამოცდილებას სულ უფრო ხშირად იზიარებენ ევროპული კომპანიები. ასე, გაკოტრების პირას მყოფმა გერმანულმა „პორშემ“ დახმარებისთვის იაპონელ სპეციალისტებს მიმართა. შედეგად, 3 წელიწადში, სასაწყობო ლოგისტიკის სიახლეების გამოყენების შედეგად 30%- ით შემცირდა ქარხნის ტერიტორია, რამაც საშუალება მისცა წარმოებას შეემცირებინა ხარჯები და კრიზისიდან გამოსულიყო.

მენეჯმენტის აზიური მოდელის უმნივნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს ფირმის მიმართ თანამშრომელთა პატრიარქალური დამოკიდებულება, როგორც ერთი დიდი ოჯახისადმი, სადაც ფირმის ხელმძღვანელები, როგორც მშობლები ზრუნავენ ხელქვეითებზე (შვილებზე),რაზეც ეს უკანასკნელნი ანალოგიურით პასუხობენ. ყველაფერი ეს დიდწილად განისაზღვრება იმ გავლენით, რომელსაც აღმოსავლური რელიგია და ფილოსოფია (ძირითად ბუდიზმი და კონფუციანიზმი) ახდენენ მრავალი აზიური ერისა თუ ხალხის (ძირითადად იაპონელების, კორეელების) სოციალურ ფსიქოლოგიაზე. ფირმისადმი პატრიარქალური დამოკიდებულების შედეგს წარმოადგენს იაპონური მოდელის ისეთი ნიშნები, როგორიცაა მმართველთა თათბირებზე მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას კონსესუსის მეთოდის გამოყენება; ხელმძღვანელებისა და მუშებისთვის საერთო სასადილოს ქონა; დილის გამამხნევებელი ვარჯიში ფირმის თანამშრომლებისთვის; სამუშაო საათების სამუშაო ფორმაში გატარება; შედარებით ნელი დაწინაურება, რომელიც არა იმდენად ინდივიდუალური დამსახურებებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც მთელი კოლექტივის მუშაობის შედეგებიდან, რომელსაც ეკუთვნის ეს თანამშრომელი. აზიური მოდელის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს წარმოადგენს ასევე ხელმძღვანელების არაფორმალური ურთიერთობა ხელქვეითებთან: ასაკით უფროსობაზე და სამუშაო სტაჟზე დაფუძნებული კარიერული წინსვლა; სამუშაო სტაჟიდან და ჯგუფში მუშაობის მაჩვენებლებიდან გამომდინარე ანაზღაურება; ჯგუფში ჰარმონიის მიღწევა და ჯგუფური მიღწევები; ხანგრძლივი დასაქმება; მუშა-მოსამსახურის პენსიაზე გასვლის შემდეგ მისი ოჯახის ყველა წევრისთვის საპენსიო შემწეობის მიცემა; ძირითადად დიდ საწარმოებში მიღებული სამისდღეშიო დაქირავების პრაქტიკა. (სამისდღეშიო დაქირავების სისტემაში ქვეყნის ყველა მუშაკის 30-40%- მდეა დასაქმებული, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ფუნქციონირებს აგრეთვე განმეორებითი დაქირავების სისტემა, რომელშიც საპენსიო ასაკის ადამიანები არიან ჩართულნი).

ამრიგად, რიგი აზიური ქვეყნების სპეციფიკის გამო, რომელიც მნიშვნელოვანწილად დეტერმინირებულია კონფუციანიზმისა და ბუდიზმის რელიგიურ-ეთიკური კონცეფციებით, სამეურნეო ორგანიზაციების მართვის სისტემის დასავლური მოდელის გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა, რის გამოც გაჩნდა მენეჯმენტის საკუთარი, სპეციფიკური მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობა. აზიური მმართველობის სტილის თავისებურებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: პარტნიორების ნდო-

ბა ერთმანეთისადმი; კომპანიის განვითარებისთვის საერთო წვლილის საჭიროების გააზრება; კადრების ნელი როტაცია; პერსონალის განათლების დონის ამაღლებისადმი სწრაფვა მუდმივი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებით; კომპანიის გავითარების გრძელვადიანი გეგმების სისტემის ფართო გამოყენება; კომპანიების ხელმძღვანელთა შორის არსებული ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობის საფუძველზე არსებული ფირმათაშორისი ურთიერთობები.

მენეჯმენტის აზიური მოდელის თავისებურებანი ვლინდება, მაგალითად, საქმიანი მოლაპარაკებების წარმოების მეთოდებში, როდესაც ამერიკული სტილისგან განსხვავებით, იაპონელი ბიზნესმენები, ურთიერთგაგებისა და ნდობის მიღწევის მიზნით სხვადასხვა საკითხს თავიდან განიხილავენ, ისე, რომ ნელ-ნელა უახლოვდებიან არსს, ანუ საქმიანი პრობლემების მოგვარების საკითხს. იაპონელი ბიზნესმენების ასეთი მიდგომა საქმიანი მოლაპარაკებების წარმოებისადმი ახლოა მათი არაბი კოლეგებისთვისაც. თუმცა არაბულ ქვეყნებში ამ პროცესზე სერიოზულ გავლენას ახდენს ისლამის, ქალისადმი, როგორც კაცთან შედარებით, მეორეხარისხოვანი არსებისადმი დამოკიდებულების პოზიცია. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში , როგორც წესი ძალზედ არ ეპიტნავებათ საქმის დაჭერა საქმიან ქალბატონებთან, განსაკუთრებით, თუ ის გაუთხოვარია (ცნობილია შემთხვევები, როდესაც ევროპელ და ამერიკულ კომპანიებს მოუწიათ თავიანთი მაღალკვალიფიური თანამშრომლების გამოწვევა ისლამური ქვეყნებიდან).

მენეჯმენტის იაპონური, აზიური, ისლამური მოდელების გარდა ცნობილია ინგლისური, გერმანული და განსაკუთრებით ამერიკული მოდელები. უკანასკნელი, იაპონურთან ერთად, ითვლება ეკონომიკური სტრუქტურების მართვის ეტალონად. ამერიკული მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს მიეკუთვნება: ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და გადაწყვეტილებების მიღების ინდივიდუალური პროცესი; ინდივიდუალური კონტროლი ხელმძღვანელობის მხრიდან; ინდივიდუალურ შედეგებზე დაფუძნებული წინსვლა და შრომის ანაზღაურება. ამის გარდა, მენეჯმენტის ამერიკული მოდელის თვისებებია შრომის შედეგების სწრაფი და ფორმალიზებული შეფასება და სამსახურში სწრაფი დაწინაურება, კონტროლის მკაფიო პროცედურების გამოყენება და ფორმალიზმი ხელმძღვანელისა და ხელქვეითის ურთიერთობებში.

ამგვარად, პერსონალის მართვის ამერიკული ფილოსოფია დაფუძნებულია კონკურენციისა და თანამშრომელთა ინდივიდუალიზმის წახალისების ტრადიციებზე. პირველ რიგში ის ორიენტირებულია კომპანიის მიერ მოგების ნახვაზე, რომლის სიდიდეზეცაა დამოკიდებული თანამშრომლის პირადი შემოსავალი. ეკონომიკური სისტემების მართვის ამერიკული სისტემის მახასიათებლებია: ინდივიდუალიზმი, ამოცანებისა და მიზნების მკაფიო განსაზღვრა, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმების არჩევა, პერსონალის შრომის მაღალი ანაზღაურება, სამომხმარებლო ფასეულობების წახალისება.

მართვის იაპონური და ამერიკული მოდელების აქ მოყვანილი თვისებებისა და თავისებურებების შედარება ცხადყოფს ამ მოდელების პრაქტიკულად საპირისპირო თვისობრივ მახასიათებლებს. ეს განსაკუთრებით მართებულია ისეთ თვისებებთან მიმართებაში, როგორიცაა პირველი მოდელისთვის დამახასიათებელი კოლექტივიზმი, მეორე მოდელისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ (თუმცა, სინამდვილეში, უფრო ღრმა ანალიზისას აღმოვაჩენთ, რომ იაპონური მოდელის შემთხვევაში, უფრო სამართლიანი იქნებოდა იმის თქმა, რომ საუბარია არა მხოლოდ მთლიანად კოლექტივის შედეგების გათვალისწინებაზე, არამედ ცალკეული თანამშრომლის ინდივიდუალური მაჩვენებლების შეფასებაზეც, ოღონდ მხოლოდ კოლექტივის საქმიანობის მთლიანი შედეგების პრიზმაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მოდელში გათვალისწინებულია ინდივიდუალური მაჩვენებლებიც, მაგრამ მხოლოდ მთლიანი კოლექტივის წარმატებული მუშაობის შემთხვევაში. ამასთან, კოლექტივის ეფექტური მუშაობის მაჩვენებლებს აუცილებლად პრიორიტეტული მნიშვნელობა გააჩნიათ). ასე იქცა ჯგუფური საქმიანობა ზემოთხსენებული ხარისხის ჯგუფების მუშაობის ძირითად ფორმად იაპონიის საწარმოო დაწესებულებებში. თუ 1965 წელს სულ 3700 ხარიხსით მართვის პრობლემებით დაკავებული ჯგუფი იყო დარეგისტრირებული, XXI საუკუნის და-

საწყისში მათი რიცხვი უკვე 2 მილიონს აღწევდა. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წრეების მუშაობის პრინციპების რეალიზაცია შეესაბამება იაპონელების საზოგადოებრივ და კულტურულ ტრადიციებს. როგორც წესი, გამოყოფენ შემდეგ პრინციპებს: ნებაყოფლობითი პრინციპი (წრეში მუშაობა იმასთან უნდა დაიწყო, ვინც ამაში დაინტერესებულია), თვითგანვითარების სურვილის პრინციპი (წრის წევრებს სწავლის სურვილი უნდა გააჩნდეთ), ურთიერთსრულყოფის (წრის წევრები უნდა იფართოვებდნენ მხედველობის არეს და თანამშრომლობდნენ სხვა წრეების წევრებთან) და საყოველთაო მონაწილეობის პრინციპი (წრის მიზანია - ყველა მოსამსახურის მონაწილეობა ხარისხის მართვის პროცესში)

აშშ - სა და ევროპაში განსხვავებული ტრადიციებია. აქ ხარისხის მართვის საკითხები, მიუხედავად იაპონური გამოცდილების გაზიარების სურვილისა, მეცნიერებისა და კონსტრუქტორების პრეროგატივად რჩება. ამერიკული და იაპონური მენეჯმენტის მსგავსება კი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ძირითადი ყურადღება ადამიანის ფაქტორის აქტივიზაციას, გამუდმებულ ინოვაციებს, საქონლისა და მომსახურების დივერსიფიკაციას, მსხვილი საწარმოების კიდევ უფრო გამსხვილებასა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, წარმოების ზომიერ დეცენტრალიზაციას, გრძელვადიანი, სტრატეგიული გეგმების შემუშავებასა და რეალიზებას ეთმობა.

მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ ორივე მოდელი მსგავს ამოცანებზე მუშაობს, თუმცა მრავალი სპეციალისტის აზრით, დღევანდელობაში ყველაზე კონკურენტუნარიანი მოდელი მაინც იაპონურია. თუმცა, ჯერ კიდევ, მაინც ძალიან ფართოდ გამოიყენება მენეჯმენტის ამერიკული მოდელიც. რეალურ პრაქტიკაში ეს ვლინდება ბიზნესმენების სწორხაზოვან ქმედებაში. მოლაპარაკებებზე, გადაწყვეტილების შეთანხმების პროცესში, ისინი ხშირად მიმართავენ ბრძანებას. საგულისხმოა, რომ იაპონელებისგან განსხვავებით, ისინი, გრძელი შესავლების გარეშე პირდაპირ გადადიან პრობლემის არსზე. მოლაპარაკებების წარმოებისას, რომელთა მთავარ მიზანსაც შეთანხმება წარმოადგენს, ერთერთ უმთავრეს პირობას ყველა კანონისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის დაცვა წარმოადგენს და არა მოგება ან პარტნიორებს შორის თანხმობა. ამიტომ ამერიკულ დელეგაციაში ყოველთვის აუცილებლად შედიან გადაწყვეტილების მიმღები სრულუფლებიანი წარმომადგენელი და იურისტი. მენეჯმენტის ამერიკული მოდელის მნიშვნელოვანი განსხვავება იაპონურისგან მისი მოკლევადიან დასაქმებაზე აქცენტირებაა, ამიტომაც ამერიკელებს ნაკლებად აქვთ ფირმისადმი ერთგულების განცდა, ე.წ. კორპორატიული პატრიოტიზმი (იაპონელებს, განსაკუთრებით სამუდამო დაქირავების პირობებში აბსოლუტურად საპირისპირო მიდგომა გააჩნიათ). შედეგად, ამერიკელებში ნორმად ითვლება სამსახურის ცვლა საშუალოდ ყოველ 8-10 წელიწადში ერთხელ და არა მარტო სამსახურის, არამედ საქმიანობის სფეროსი, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, სხვა რეგიონში გადასვლა ა.შ.

ამერიკულის გარდა მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს მენეჯმენტის გერმანული და ინგლისური მოდელების თავისებურებების შესწავლა. ყველა ამ მოდელს არაერთი საერთო, მსგავსი მახასიათებელი გააჩნია, რაც იძლევა საშუალებას, მართვის გარკვეული, ერთიანი დასავლური მოდელის არსებობის შესახებ ვილაპარაკოთ. მთლიანობაში მართვის ამ სისტემისთვის შემდეგი ნიშნებია დამახასიათებელი: ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილებების ერთპიროვნული მიღება, საქმიანი და პირადი ურთიერთობების განცალკევება, თანამშრომლებში სამსახურისადმი ერთგულების არქონა. გერმანული მენეჯმენტის თავისებურებებს მიეკუთვნება: მაღალი დისციპლინა, სიახლეების დამკვიდრების და წარმოების მოდერნიზაციის უფრო ხანგრძლივი პროცესი, აგრეთვე მთლიანობაში მმართველობითი სისტემის შორსმჭვრეტელობა. რეალურ სამეურნეო პრაქტიკაში ეს თავისებურებანი შემდეგნაირად ვლინდება:

გერმანიაში, სამეურნეო პროცესების საბანკო დაფინანსება აქციონერულზე უპირატესია. ამასთან აქციონერების შეკრებებზე ბანკებს გააჩნიათ ხმის უფლება. კომპანიის მართვა ორი სტრუქტურის მეშვეობით ხორციელდება: მმართველი და სამეთვალყურეო საბჭოებს მიერ, რომლის რიცხოვნებაც რეგ-

ულირდება კანონით და შეიძლება შეცვლილ იქნას აქციონერების მიერ. ამ სტრუქტურების ფუნქციები გაყოფილია და არავის არ შეუძლია თანამდებობის შეთავსება ორივე სტრუქტურაში . მმართველობის წევრები მხოლოდ ფირმის თანამშრომელები შეიძლება იყვნენ, მაშინ, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სხვა სამეურნეო სტრუქტურის წევრებიც შეიძლება იყვნენ. მენეჯმენტის დასავლური ტიპის კიდევ ერთი მოდელის-ინგლისურის უპირატესობად ითვლება: სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-კონსტრუქტორული სამუშაოების ჩატარება, ახალი მაღალტექნოლოგიური პროდუქტის შექმნა, ახალი პროცესების დანერგვა და მათი შემდგომი მოდერნიზება, აგრეთვე წარმოების დანახარჯების შემცირებისკენ მუდმივი სწრაფვა.

სადღეისოდ საქართველოში არ არსებობს საყოვეთაოდ მიღებული მართვის ეროვნული მოდელი. ეს დაკავშირებულია მრავალ ფაქტორთან, მათ შორის საბაზრო ურთიერთობების განვითარების მოკლე ვადასთან, კრიმინოგენურობის მაღალ დონესთან, განსაკუთრებით სამეურნეო საქმიანობის შემოსავლით სფეროებში; საწარმოების ფუნქციონირების ე.წ. "ატკატის" ფორმის არსებობასთან.

ქართულ ეკონომიკაში მმართველობის ხასიათზე სერიოზულ გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა კანონის მხრიდან კერძო საკუთრების არასაკმარისი დაცულობა და მათი ხშირი იგნორირება, სახელმწიფოსადმი პატრიარქალური და მუქთახორული დამოკიდებულება (როგორც ბიზნესის სხვადასხვა სფეროს, ასევე მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსგან მუდმივი დახმარების მოლოდინი). მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ დროს საქართველოში იზრდება ახალი თაობის ხელმძღვანელთა რიცხვი, რომლებსაც განათლების მაღალი დონეც გააჩნიათ და მართვის თანამედროვე მეთოდებსაც იყენებენ, „ახალი ქართველების" არაეფექტური მართვის ნეგატიური შედეგები (მათ მიერ გამოყენებული მართვის მოდელი მოკლევადიან პერიოდში მოგების მიღების საშუალებას იძლეოდა, თუმცა მოცემული მოდელის გრძელვადიან პერსპექტივაში არსებობა ყოველთვის დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო) მაინც დღემდე იგრძნობა. ეს ფაქტორი საორგანიზაციო-მმართველობითი გარემოს არასტაბილურობასთან და ცვალებადობასთან ერთად ხელს უწყობს ჩვენს ეკონომიკაში მოკლევადიანი მოგების მიღებაზე და არა ეფექტურ, გრძელვადიან სამუშაოს ორგანიზებაზე ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობის გათვალისწინებით, მენეჯმენტის თანამედროვე სისტემა საქართველოში წარმოადგენს მართვის ევროპული და აზიური სტილების ერთგვარ სიმბიოზს. მთლიანობაში მართვის თანამედროვე ქართული კონცეფცია საკმაოდ მრავალფეროვანია - ის დამოკიდებულია დარგობრივ და რეგიონულ თავისებურებებზე, ორგანიზაციის მასშტაბებზე, საკუთრების ფორმებზე. მაგალითად, საბაზრო ინფრასტრუქტურის პირობებში სახელმწიფო საწარმოების საფუძველზე შექმნილი, მსხვილი, სააქციონერო ტიპის საზოგადოებები, როგორც წესი ინარჩუნებენ ძველ ტრადიციებს, ახასიათებთ მკაცრი დისციპლინა, კოლექტივიზმი და მეურნეობითობა, ითვალისწინებენ მომსახურე პერსონალისთვის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მათთვის სოციალური შედავათებისა და გარანტიების შენარჩუნებას. ამგვარად, მთლიანობაში შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმდინარეობს მენეჯმენტის ეფექტური ქართული მოდელის ფორმირების გზების ძიება. მოდელის, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეკონომიკის თავისებურებებთან და შესაბამის სპეციფიკასთან. ამასთან, ამ პროცესის დასრულებამდე ჯერ შორია და კვლავწარმოებითი ურთიერთობების მართვის ქართული სისტემა, ჯერ კიდევ ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს. წარმოადგენს მმართველობის დამკვიდრებული სხვადასხვა შედარებით მყარი მახასიათებლებისა და ნიშნების მქონე მოდელების სიმბიოზს.

ქართული ეროვნული ფსიქოლოგიის, ზემოთ უკვე ნახსენები თავისებურებების, თემურობის, პატერნალიზმის და სახელმწიფოებრიობის წარმოშობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია აგრეთე ისტორიული ფაქტორებითა და მოცემული ეთნოსის არსებობის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების სპეციფიკით. მართვის ჩრდილო, ექსტრემალური პირობები, განსაკუთრებით კი საბაზრო ურთიერთობებისას, სერიოზულ შემაკავებელ გავლენას ახდენენ ეკონომიკის განვითარებაზე, რაც გამოიხატება პროდუქციის ერთეუ-

ლის მოპოვება-წარმოებაზე გაზრდილ ხარჯებში. ზემოთჩამოთვლილმა და აგრეთვე სხვა ფაქტორებმა, როგორებიცაა გამუდმებული საგარეო სამხედრო საფრთხე, განსაზღვრა სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობა ქართული ეთნოსის ეროვნულ-ისტორიულ განვითარებაში. სხვა ეროვნული თვისება - თემურობა, აგრეთვე დაკავშირებულია ქვეყნის განვითარების ისტორიულ თავისებურებებთან და, პირველ რიგში, გლეხური თემების მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან დაახლოებით იგივე ხდებოდა საბაზრო ეკონომიკის პირველ წლებში. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ კოლმეურნეებს ახალმოვლენილი ფერმერების მიმართ), აგრეთვე სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობების ხანგრძლივად არსებობასთან. სოციალიზმის პერიოდში მოქალაქეებს მიზანმიმართულად უყალიბებდნენ კოლექტიურ ცნობიერებას, რაც დიდწილად ორ ფორმაში - სახელმწიფოებრივსა და საკოლმეურნეო-კოოპერატიულში გამოვლენილი საერთო სახალხო საკუთრების არსებობით იყო განპირობებული.

ჩვენი აზრით, სწორედ თემურობა და პატერნალიზმი (იმედი იმისა, რომ სახელმწიფო მოაგვარებს ყველა პრობლემას) წარმოადგენენ საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარების მთავარ შემაკავებელ ინერციულ სოციო-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. სხვა ქვეყნებთან შედარებით, კვლავწარმოებითი პროცესები გაძლიერებული სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობასთან ერთად ისინი განსაზღვრავენ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელის ფორმირებას. სხვათა შორის, ბაზრის სხვა ცნობილი ეროვნული მოდელებიც -შვედური, კანადური, იაპონური, ამერიკული ა.შ. აგრეთვე დიდწილად არიან განპირობებული შესაბამისი ეთნოსების ისტორიული და კულტურულ-ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებებით. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის იაპონური, სამხრეთკორეული და ჩინური მოდელები აშკარად არიან დაკავშირებული ამ ქვეყნების ისტორიულ წარსულთან, განსაკუთრებით კი წარმოების აზიური საშუალების ისეთ თვისებებთან, როგორებიცაა: აღმოსავლური დესპოტიზმი (იმპერატორის, ხანის, მათი ნაცვალის, სატრაპის შეუზღუდავი ძალაუფლება); მიწაზე, წყალმომარაგებასა და ინფრასტრუქტურაზე კერძო საკუთრების უფლების პრაქტიკული არარსებობასთან, რაც სახელმწიფოს საკუთრებაში იყო მოქცეული; ძალაუფლებისა და საკუთრების შერწყმასთან, რომლის შედეგად მმართველი ხდებოდა უზენაესი მესაკუთრე, ხოლო ეკონომიკა პოლიტიკური მბრძანებლობის ატრიბუტად იქცეოდა. ყველაფერი ეს უზომოდ აძლიერებდა ცენტრალურ პოლიტიკურ ხელისუფლებას; მოხელეების მრავალრიცხოვან და კორუმპირებული კასტასთან, რომელიც ძარცვავდა ხალხს; მეწარმეებთან, რომლებმაც სიტუაციიდან გამომდინარე აირჩიეს ხელობა -მევახშეობა, ვაჭრობა, მმართველების მომსახურება.

საკუთარი ეკონომიკის რეფორმირებისა და განვითარებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში იაპონიის, სამხრეთ კორეის, ჩინეთის მთავრობები არ წასულან სამეურნეო საქმიანობის სრული ლიბერალიზაციის გზით, (როგორც ეს რუსეთში ე.გაიდარის მთავრობამ გააკეთა, რომელმაც მიიღო შეიარაღებაზე მონეტარული მოდელი), არამედ გაითვალისწინეს წარმოების აზიური მეთოდის სპეციფიკა. ამ ქვეყნებში ეს იმაში გამოიხატა, რომ საბაზრო რეფორმირების საწყის ეტაპზე სახელმწიფო ორგანოები სოციო-ეკონომიკური გარდაქმნების მიმდინარეობას გაძლიერებულად აკონტროლებდნენ. მეტიც, რუსეთისგან განსხვავებით, ამ ქვეყნებში დღემდე ხორციელდება კვლავწარმოების პროცესების მაკრო დონეზე დაგეგმარება, რასაც მნიშვნელოვანწილად უკავშირებენ ამ ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის ტემპებს. საბაზრო რეფორმირების პროცესში აქაც შეუძლებელი იყო მხოლოდ კლასიკური, მონეტარული მეთოდების იმედად ყოფნა. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტიპის საზოგადოებრივი მოწყობა საოცრად მდგრადი და სიცოცხლისუნარიანია, ხოლო აზიური საზოგადოებების წეს-ჩვეულებები რეფორმებისა და რევოლუციების შრეებშიც კი იკვლევს გზას, სახელმწიფოს გაძლიერებული ჩარევის გარეშე საზოგადოებისთვის გარდამავალ პროცესებში განვითარებული საბაზრო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის ფართო მასშტაბებით დანერგვა ძალზე გაჭირდება. მონეტარული პრინციპები, რომლებიც საკმაოდ წარმატებით იქნა რეალიზებული ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, ამ სახით აქ ძნელად თუ იქნება ეფექტურად

განხორციელებული. (ამიტომ ეთნოეკონომიკის უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს ბაზრის პირობებში სოციო-ეკონომიკური ქცევის ეროვნული თავისებურებების შესწავლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვადასხვა ეთნოსის საბაზრო ურთიერთობებთან შეგუების თავისებურებები). ქვეყნის სხვადასხვა ერისა თუ ხალხის სოციო-ეკონომიკური ქცევის თავისებურებების გამოვლენის პრობლემის აქტუალობის გათვალისწინებით, აუცილებელია რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, მათ შორის ეთნოეკონომიკაში, ეროვნულ ეკონომიკაში რეგიონული მიმართულებების განვითარება). ამგვარად, ეთნოსის ფორმირებაზე გავლენას არა მხოლოდ საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების ხასიათი და განვითარების დონე ახდენს, არამედ ამ უკანასკნელის თვაისებურებები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ სოციო-ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკაზე. მაგალითად, შვედეთში, წარმოების სხვადასხვა დარგში, არსებობს უშუალო კონკურენტებს შორის თანამშრომლობის ტრადიცია(განსაკუთრებით ეს ფოლადსასხმელ, ხის გადამამუშავებელ და ცელულოზურ-ქაღალდის წარმოების დარგებს ეხება. ასე, ქაღალდის მწარმოებელი შვედური კომპანიები ერთხანს თანამშრომლობდნენ საექსპორტო ფასების დადგენაში. ასეთი ქცევა სოციალური წყობის თავისებურებებითა და პროფესიული მომზადების სისტემით აიხსნება. ხატოვანად რომ ვთქვათ, შვედებს ასწავლიან თანამშრომლობას და არა კონკურენციას. ეს იწვევს დადებით შედეგებს საწარმოო ურთიერთობების ვერტიკალზე და მომიჯნავე დარგებთან ურთიერთობებში, მაგრამ მნიშვნელოვნად აფერხებს შიდა კონკურენციის განვითარებას, რომელიც ასე საჭიროა დასანერგი ინოვაციების ზოგიერთი ტიპისათვის. შედეგად შვედეთი ნაკლებად წარმატებულია ისეთ დარგებში, სადაც საჭიროა სწრაფი რეაგირება და პროდუქციის ხშირი ცვლა.

გარკვეული თვალსაზრისით მსგავსი სოციო-ფსიქოლოგიური სიტუაცია შეინიშნება გერმანიაშიც. დარგების უმეტესობაში, სადაც გერმანია ლიდერობს, კლიენტები კონსერვატულები არიან და ახალ პროდუქციას სიფრთხილით ხვდებიან. ამიტომ გერმანული ფირმები იშვიათად არიან წარმატებულნი ისეთ დარგებში, სადაც საქონელს ან მოკლე სასიცოცხლო ციკლი გააჩნია (3-5 წელი) ან რომელიც აგრესიულ მარკეტინგს საჭიროებს. ომისშემდგომი გერმანიის მუდმივი სისუსტის კიდევ ერთ სფეროს ახალი საქმიანი საწარმოების შექმნა წარმოადგენს. აქ ბანკროტობას საზოგადოების მხრიდან ძალზედ ხმამაღალი, უარყოფითი რეზონანსი მოჰყვება ხოლმე, შედეგად კი რისკის შიში უკიდურესად მაღალია, შესაბამისად ხალხს არ უჩნდება სურვილი, ფსონი ახალ წამოწყებაზე დადოს. აქ სარისკო კაპიტალის ბაზარიც ცუდაა განვითარებული. კეთილდღეობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, რისკზე წასვლის არანაირი სურვილი არ გააჩნიათ. შვეიცარია, სარისკო კაპიტალის არქონიდან გამომდინარე, განიცდის ახალი საწარმოების შესაქმნელად საჭირო პირობების დეფიციტს, ამის საპირისპიროდ, იტალიელებს უყვართ რისკი. ბევრი მათგანი ინდივიდუალიზმითა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით გამოირჩევა. იტალიელების უმრავლესობა ანთებულია საკუთარი კომპანიის შექმნის სურვილით და მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზეზის გამო ბანკროტობის პროცენტი აქ საკმაოდ მაღალია, იტალიელები, გერმანელებისგან განსხვავებით, ამისგან ტრაგედიას არ ქმნიან (სავსებით მისაღებად ითვლება, თუ მეპატრონე, ცხოვრების მანძილზე ორჯერ მაინც გაბანკროტებულა). შედეგად იტალიაში ძალზედ განვითარებულია მცირე ბიზნესი, იმისათვის კი, რომ ბაზარზე ადგილი შეინარჩუნონ, იტალიურ ფირმებს მუდამ უნდა ჰქონდეთ პროდუქციის ახალი მოდელები. ამიტომაც იტალიაში პროდუქციის უამრავი მოდიფიკაციაა. მაგალითად იქ ავეჯით მოვაჭრე შესანიშნავი მაღაზიების სიმრავლეა, რომელთა უმეტესობაც ავეჯის ერთ სახეობაზე სპეციალიზდება: სააბაზანო, სამზარეულო, საოფისე ა.შ. იტალიური ეკონომიკისთვის დამახასიათებელკიდევ ერთ თვისებას ფირმებს შორის ძლიერი ოჯახური თუ კლანური კავშირების არსებობა წარმოადგენს. მომწოდებლებსა და მყიდველებთან გარიგებები აქ, როგორც წესი, პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე დგება და ხანგრძლივობით გამოირჩევა.

საზღვარგარეთ გატანის არხებიც, იტალიური ფირმებისთვის, პირად კავშირებზეა დამოკიდებული, რის გამოც ექსპორტის მიმართულე-

ბა შეიძლება საგრძნობლად იცვლებოდეს მეწარმეთა პრიორიტეტების ცვლასთან ერთად. ასე, რომ, იტალიელებს არ უყვართ იერარქიული დაქვემდებარების სისტემაში მუშაობა. უპირატესობას ისინი საკუთარ, ან ახლობლებისა თუ ნათესავების კომპანიებს ანიჭებენ.

ამგვარად, მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ყოველი ქვეყანა ძირითადად წარმატებულია იმ დარგებში, რომლებიც მეტად შეესაბამება მის, ისტორიულად ჩამოყალიბებულ პირობებსა და ეროვნულ ხასიათს. იტალიაში ეს მოდური ტანსაცმელი და ავეჯია, ამერიკაში -ფინანსები და შოუბიზნესი, შვეიცარიაში კი საბანკო საქმე და ფარმაცევტიკა. (შვეიცარიაში სამკურნალო ბალახების სამედიცინო სფეროში გამოყენებას ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია,რაც მშვენივრად უთავსდება ჯანმრთელობაზე შვეიცარულ ზრუნვას. ამიტომაც,ბაზრის ამ სეგმენტში, შვეიცარელი მომხმარებლები საქონლის საბაზრო მიმზიდველობის დადგენის თვალსაზრისით კარგ გამოსაცდელ პოლიგონს წარმოადგენენ. სამკურნალო მცენარეების დანამატებიანი კანფეტის მწარმოებელი შვეიცარული ფირმა „რუკოლა“ მსოფლიო მასშტაბზე გავიდა და წარმოადგენს წარმატებულ მაგალითს ისეთი სეგმენტის არჩევისა, რომელიც შესანიშნავად იყენებს ეროვნულ უპირატესობებს). ამ ქვეყნებისთვის წარმოების საბაზო დარგებისა თუ სახეობების განვითარება მულტიპლიკატორის პრინციპის შესაბამისად სხვა მრავალი დარგის განვითარებისთვის მასტიმულირებელ როლსაც ასრულებს, რის გამოც, რაღაც მომენტიდან, სახალხო მეურნეობა იწყებს ფუნქციონირებას, როგორც ერთი მთლიანი კომპლექსი, ეკონომიკა კი მთლიანობაში სწრაფად და დინამიურად ვითარდება. (ამრიგად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეროვნულ-ფსიქოლოგიური და ისტორიული თავისებურებების გათვალისწინება კარგად უთავსდება ეკონომიკური ბირთვის ცნობილ თეორიას.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელ დროს, სულ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ეროვნული ეკონომიკის პრობლემების შესწავლა(უმაღლეს სასწავლებლებში უკვე გაჩნდა აღნიშნული დასახელების კურსები), როდესაც საზოგადოებრივი კვლავწარმოების თავისებურებების გამოვლინება ამა თუ იმ ქვეყანაში გარდაუვლად ებმის შესაბამისი ეთნოსის საარსებო გარემოს, გეორგაფიული, ისტორიული, რელიგიური, კულტურული, ფსიქოლოგიური ფაქტორების სპეციფიკას . (ამასთან დაკავშირებით, შვეიცარიელთა გამოცდილების ანალიზს თუ დავუბრუნდებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ, რადგან შვეიცარია საკუთარ თავში რამდენიმე კულტურას აერთიანებს, ამ ქვეყნის ფირმები იღებენ უნიკალურ შესაძლებლობებს პროდუქციაში მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. გასაკვირი არაა, რომ შვეიცარიის ფრანგულ ნაწილს, ისევე, როგორც ფრანგებს, სამომხმარებლო საქონლისადმი მიდრეკილება აქვთ, მაშინ, როდესაც ქვეყნის გერმანული ნაწილი მანქანათმშენებლობის ზუსტი მოწყობილობების მრავალი სახეობის დამზადებას ანიჭებს უპირატესობას და ქიმიური მიმართულების კომპანიების განთავსების ადგილს წარმოადგენს,რომლებიც გერმანელებისთვის ეროვნული განვითარების პრიორიტეტად ითვლება. რადგან კლასიკური საბაზრო თეორიები ეხება ე.წ. საშუალო ეკონომიკურ ადამიანს, (რაც ზოგადად მისაღებია ინგლისელების, გერმანელებისა და უმეტესი ევროპული ეთნოსებისთვის), ტრადიციული ლიბერალური მეთოდები რუსეთში სოციო-ეკონომიკური რეფორმირების პროცესში ხშირად არ მუშაობს, ვინაიდან აქ ძალიან ბევრი „არაეკონომიკური ადამიანია“. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთში ასზე მეტი ეროვნება ცხოვრობს, რომელთა ქცევაც შეიძლება კიდევ უფრო მეტად განსხვავდებოდეს საბაზრო სტერეოტიპებისგან, ვიდრე რუსების. ჯერ კიდევ ცნობილი რუსი ისტორიკოსი კლიუჩევსკი წერდა, რომ მოკლე რუსული ზაფხულები, ამინდის ცვალებადობა, მკაცრ რეალობასთან ბრძოლის სირთულეები საკუთარი ძალებში დაეჭვებას აჩენს. რუსი საშუალოდ ჩაკეტილი და ფრთხილია, მისთვის რთულია ღირსეულად გადაიტანოს წარმატება. რუსების თვისებებად შეიძლება ამტანობა, მოთმინება, მოკრძალება მივიჩნიოთ. მათ ხასიათში ემოციური საწყისი ჯაბნის რაციონალურს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ, რუსს ხშირად უჩნდება ამქვეყნიურიდან განდგომის მისწრაფება, რელიგიური მისტიკით გატაცება, “სასწაულის” მოლოდინი. რუსების კიდევ ერთი აღსანიშნავი თავისებურებაა აზიური ფესვების შენარჩუნება კულტურაში, რო-

მელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო ევროპული ხდებოდა. თუმცა ევროპული გავლენა ძირითადად საერთო ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა, რაც ქრისტიანული რელიგიების ერთობლიობით იყო განპირობებული. პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების სფეროში კი აზიური მემკვიდრეობა შენარჩუნებულ იქნა. მნიშვნელოვნად ამის გამო წარმოება რუსეთში დაბალ ტექნიკურ დონეზე რჩებოდა, ეკონომიკური ზრდა ძირითადად ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა და სტიმულირდობოდა ხელისუფლების სისასტიკით, იძულებით. მოსახლეობის ძირითადი მასის ცხოვრების დონე კი ძალიან დაბალი რჩებოდა. წარმოების აზიური მეთოდის შედეგების გამო, რუსეთი მოგვიანებით ინდუსტრიალიზაციის გზას დაადგა.

როგორც ვხედავთ, ქართული ეთნოსის აღნიშნული თავისებურებანი მხოლოდ ეროვნული ფსიქოლოგიიდან არ გამომდინარეობს. ამიტომ, ეკონომიკურ ფსიქოლოგიასთან ერთად მიზანშეწონილია ეთნოეკონომიკის გაჩენაც - ახალი სამეცნიერო მიმდინარეობის, რომლის ფარგლებშიც ვლინდება სოციო-ეკონომიკური და ეთნიკური პროცესების ურთიერთზემოქმედების საერთო კანონები და განისაზღვრება აგრეთვე სოციო-ეკონომიკური ქცევის ეროვნული თავისებურებები (მათ შორის საბაზრო ადაპტაციის) და ყოველი ეთნოსის იმ ქვეყნის საზოგადოებრივი კვლავწარმოება ეფექტურობასთან ურთიერთკავშირები, რომელშიც ეს ეთნოსი ცხოვრობს. (აქვე შევნიშნავთ, რომ შესაძლოა ტერმინი „ეთნოეკონომიკა“ არ არის საუკეთესო, მაგრამ სამეცნიერო მიმართულების დასახელების საკითხი უფრო ფილოლოგიური ხასიათის პრობლემაა). გასაგებია, რომ ეთნოეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული რიგ სხვა სამეცნიერო დისციპლინასთან, როგორიცაა ისტორია, ეთნოგრაფია, ეკონომიკური ფსიქოლოგია, ეროვნული ეკონომიკა. და მაინც, ეთნოეკონომიკას გააჩნია კვლევის საკუთარი საგანი, რომელიც განსხვავებულია სხვა სამეცნიერო დისციპლონების , მათ შორის მასთანვე მჭიდროდ დაკავშირებულ დისციპლინათა,კვლევის ობიექტებისაგან. ამიტომაც ეთნოეკონომიკას აქვს უფლება იარსებოს, როგორც დამოუკიდებელმა სამეცნიერო მიმართულებამ, რომლის განვითარებასაც სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია მრავალი თეორიის განვითარებაზე (მაგალითად ღირებულების თეორია, მარჯინალიზმი ა.შ.). სავსებით შესაძლებელია, რომ აზრი ჰქონდეს ამგვარად განისაზღვროს ისეთი სამეცნიერო დისციპლინების კვლევის არეალი, როგორებიცაა ეთნოსოციოლოგია, ეთნოეკოლოგია, ეთნოტექნოლოგია და სხვა. ამასთანავე ეთნოეკონომიკის უმნიშვნელოვანეს და უაქტუალურეს მიმართულებად უნდა გამოვყოთ ის, რომლის ფარგლებშიც შეისწავლება ეთნიკური და ეკონომიკის რეფორმირების, სხვადახვა ეთნოსის საბაზრო ადაპტაციის პროცესების ურთიერკავშირის პრობლემები (ეს არა მარტო საქართველოსთვისაა აქტუალური, არამედ ბევრი პოსტსოციალისტური ქვეყნისთვის), რამაც უნდა გაზარდოს ტრანსფორმაციული საბაზრო გარდაქმნების ეფექტურობა და ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების სოციო-ეკონომიკური განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის გამოვლენას. ეს საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია. სხვადასხვა ეთნოსის ეკონომიკური ქცევა შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს საბაზრო სტანდარტებისგან, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ეთნოეკონომიკაში რეგიონალური სექტორების განვითარება. ეთნოეკონომიკა სერიოზულ გავლენას აუცილებლად მოახდენს სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიაზე, განსაკუთრებით ისეთებზე, როგორიცაა მარჯინალისტური კონცეფციები, კერძოდ, მაქსიმალური სარგებლიანობის თეორია. მაქსიმალური სარგებლიანობის თეორიის წარმოშობა მნიშვნელოვნად განაპირობა ეკონომიკური და ფსიქოლოგიური კონცეფციების სინთეზმა. ამ თეორიის ძირითად პოსტულატებში იგულისხმება ადამიანის ინდივიდის ერთგვარი გაშუალებული საბაზრო ქცევა, მაგრამ რეალობაში ადამიანების ქცევა შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს გაშუალებულისგან. გადახრები ადამიანურ ქცევაში ბევრი ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული, მათ შორის კულტურული თავისებურებებით, განათლების დონით, ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თავისებურებებით და ა.შ. , მაგრამ ინდივიდუალურ ქცევით თავისებურებეთან ერთად შეგვიძლია გამოვყოთ

მთლიანად ეთნოსებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც მათ ერთგვარ საშუალოსაგან განასხვავებენ.

იმისათვის, რომ ეს აბსტრაქტული საშუა-

ლო ქცევა დაახასიათონ, როგორც წესი, იყენებენ არანაკლებ აბსტრაქტულ ცნებას "ეკონომიკური ადამიანი", რომელსაც, პირობითობის გარკვეული ხარისხით შეიძლება მივაკუთვნოთ რიგი კლასიკური საბაზრო ერის(ანუ საუკუნოვანი საბაზრო ტრადიციების მქონე ერების) - გერმანელების, ინგლისელების და ა.შ. ეკონომიკური ქცევა. მაგრამ დედამიწაზე მცხოვრები ეთნოსების მხოლოდ მცირე რიცხვი შეიძლება მივაკუთვნოთ ამ ჯგუფს, კერძოდ, ე.წ. ტრადიციულ, აღმოსავლურ საზოგადოებებში მიღებული გაშუალებული ქცევა ძალიან განსხვავდება კლასიკური საბაზრო ქცევისგან. თვით რუსეთშიც კი მკვლევარები ე.წ. არაეკონომიკური ადამიანების ძალზე დიდ რიცხვს აღნიშნავენ, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო რეფორმის ხასიათსა და დინამიკაზე (ხაზს უსვამენ რუსების თემურობას, პატერნალიზმს, სახელმწიოებრიობას).

რადგანაც გაშუალებულ, ეკონომიურ ქცევაზე არსებით გავლენას ახდენს სხვადასხვა ეთნოსის იდეოლოგიის, კულტურის, რელიგიის, ფსიქოლოგიის თავისებურებანი, ვფიქრობთ, რომ აზრი აქვს, განვახორციელოთ მარჯინალისტური კონცეფციის ძირითადი მოცემულობების ჭეშმარიტობის საკითხის კვლევა, ეკონომიკურ სფეროში ეთნიკური ქცევის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთანავე, ასეთი სახის კვლევის ჩატარებისას, ეთნიკური თავისებურებების გარდა სხვა პირობები და ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ. კერძოდ, ის ფაქტი,რომ როგორც ცალკე აღებული ინდივიდის, ასევე მთელი ეთნოსის ქცევაც დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ პირობებზე, ისეთებზე, როგორებიცაა ეკონომიკის კრიზისისა თუ აღმავლობის ფაზა, საზოგადოების გენდერულ- ასაკობრივი სტრუქტურა, (პირველ რიგში კი საპენსიო ასაკისა და ახალგაზრდების ხვედრითი წილი), ავადმყოფების, მათ შორის ფსიქიკურად დაავადებულთა წილის გამოვლენა. ამიტომ მარჯინალისტური თეორიის ზოგიერთი დასკვნისა და შედეგის ვერიტაბელობაზე უმნიშვნელოვანესი გავლენა შეძლება მოახდინოს არა მხოლოდ ეთნოფსიქოლოგიური, არამედ სოციო-ეკონომიკური ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინებამ.